CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

Caritas
Czech Republic

ზუგდიდის სკრინინგ ცენტრის დაფუძნება

კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამების (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, სწორი ნაწლავის და პროსტატის კიბოს მართვის პროგრამის) გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისა და აფხაზეთის მოსახლეობისთვის.

იზრუნე ჯანმრთელობაზე მაშინაც, როცა ჯანმრთელი ხარ

ზუგდიდის სკრინინგ ცენტრი
ZUGDIDI SCREENING CENTER

პროექტის ისტორია

ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენცია და ადრეული გამოვლენა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩეხეთის განვითარების სააგენტო ამ სფეროს უკვე წლებია მნიშვნელოვნად უჭერს მხარს. ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად – ონკოპრევენციის ცენტრი და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა, 2010 წლიდანაა ამ პროცესში ჩართული. ამ პარტნიორობის შედეგად, პირველ ეტაპზე, საფუძველი ჩაეყარა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ეროვნული სკრინინგ-პროგრამების პოპულარიზების ხელშეწყობას, ხოლო მოგვიანებით ზუგდიდის სკრინინგ ცენტრი აშენდა.

პროექტის განვითარების ისტორია თითქმის ერთ დეკადას ითვლის. თავდაპირველი აქტივობები მოიცავდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიასა და მოსახლეობის პროფილაქტიკურ გამოკვლევებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

2010-2014

მიმდინარეობდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, ხოლო სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას სამედიცინო სერვისების ნაწილი ადგილზე მიეწოდებოდა.

2014-2015

ზუგდიდში სკრინინგ ცენტრის აშენება და შესაბამისად აღჭურვა გადაწყდა.

2015-2017

თბილისის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონების ოჯახის ექიმებს ჩაუტარდათ ტრენინგები ონკოლოგიაში, კიბოს პრევენციისა და ადრეულ დიაგნოსტიკაზე აქცენტით.

2017-2018

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ჩეხეთის კარიტასმა ააშენა და აღჭურვა ზუგდიდის სკრინინგ ცენტრი.

2019-2021

ცენტრი მფლობელობაში გადაეცა ააიპ ონკოპრევენციის ცენტრს, რომელიც მართავს კლინიკას, ხოლო ჩეხეთის კარიტასი უზრუნველყოფს ფინანსურ და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას.

პროექტის შედეგი

წარმატებით განხორციელებული პროექტის შედეგად, ქალაქ ზუგდიდში უკვე 2 წელია ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური და მრავალპროფილური ამბულატორიული დაწესებულება – ზუგდიდის სკრინინგ ცენტრი. ინიციატივის ჯამურმა ღირებულებამ 3 000 000 ლარი შეადგინა.

პროექტი საჯარო და კერძო სექტორის წარმატებული პარტნიორობის კარგი მაგალითია. ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერის შედეგად, რეგიონში გაიზარდა ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგის და პროსტატის კიბოს მართვის სახელმწიფო პროგრამების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

ცენტრის გახსნის დღიდან **2 წლის** განმავლობაში, უკვე **7 000**-ზე მეტმა ადგილობრივმა მოსახლემ ისარგებლა ამ პროგრამებით.

ზუგდიდის სკრინინგ ცენტრის განვითარება

მართვის სისტემები

ჩეხეთის კარიტასის მიმდინარე ამოცანა ცენტრის მეთოდოლოგიური მხარდაჭერაა, რაც გულისხმობს ორგანიზაციული მართვის სისტემების შექმნას და დანერგვას.

ამ თანამშრომლობის ფარგლებში ცენტრი ყოველდღიურად ვითარდება და ზრუნავს სერვისების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე. აღსანიშნავია, რომ ცენტრში ინერგება ISO 9001 – 2015 შესაბამისი მენეჯმენტის სისტემა.

ცენტრში ასევე დანერგილია „პაციენტისადმი კეთილგანწყობილი კლინიკის“ უნიკალური კონცეფცია, რაც ხელს უწყობს კლინიკაში ბენეფიციარზე ინდივიდუალურად მორგებული სერვისის მიწოდებას, მის კმაყოფილებას და პაციენტის უფლებების დაცვას.

ტრენინგი და მუდმივი განვითარება

ცენტრი დაკომპლექტებულია სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური ექიმებითა და საშუალო სამედიცინო პერსონალით, რომელთაც პროექტის ფარგლებში გავლილი აქვთ არაერთი გადასამზადებელი კურსი სპეციალობაში. ამასთან, ისინი არაერთხელ იყვნენ ჩართული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მომსახურებისა და ეფექტური კომუნიკაციის, პაციენტის უფლებებისა და სამედიცინო საქმიანობის ეთიკურ ნორმებსა და კანონმდებლობასთან დაკავშირებულ აკრედიტებულ სასწავლო კურსებში.

ცენტრის ტექნიკური ბაზა

ცენტრში ასევე ხელმისაწვდომია უახლესი სამედიცინო აპარატურა: უახლესი თაობის, 2019 წლის ციფრული მამოგრაფი (GE Electric Inc. “Crystal Nova”), ულტრაბგერითი კვლევის აპარატი, კოლპოსკოპი და ენდოსკოპი, მცირე სამანიპულაციო განყოფილების აღჭურვილობა ანესთეზიის აპარატურის ჩათვლით.

მნიშვნელოვანი ფაქტები

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის მიერ დაფუძნებული ზუგდიდის სკრინინგ ცენტრი არა მხოლოდ კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებს ახორციელებს, არამედ მრავალპროფილური ამბულატორიული კლინიკაა, რომელშიც რეგიონის მოსახლეობას შემდეგი სამედიცინო სერვისების მიღება შეუძლია:

თერაპიული, გინეკოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ექოსკოპიური და გასტროფიბროსკოპული კვლევები.

მცირე ქირურგიული და გინეკოლოგიური ოპერაციები.



სისხლის და შარდის როგორც ზოგადი, ისე სხვადასხვა ბიოქიმიური და იმუნოფერმენტული კვლევები ცენტრის თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ლაბორატორიაში.

სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლება

განხორციელებული ინიციატივა ასევე პასუხობდა ონკოლოგიის მიმართულებით პირველადი ჯანდაცვის რგოლის საგანმანათლებლო საჭიროებებს. ბოლო 6 წლის განმავლობაში ონკოპრევენციის ცენტრის ექპსერტებთან და ჩეხ მედიკოსებთან თანამშრომლობის საფუძველზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონების სოფლად ოჯახის ექიმებისა და ექთნებისთვის ჩატარებულმა ექვსდღიანმა ტრენინგმა მოიცვა:

250 ექიმი

250 ექთანი

ცოდნის გაღრმავებასთან ერთად მნიშვნელოვანი თანამშრომლობა შედგა პირველად ჯანდაცვის რგოლთან ონკოლოგიის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას კიბოს პრევენციის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში.

COVID-19-ის პანდემია და

პირველადი ჯანდაცვის რგოლთან თანამშრომლობა

ძირითადი აქტივობების პარალელურად, ზუგდიდის სრკინინგ ცენტრმა მოულოდნელ გამოწვევებსა და ცვალებად გარემო პირობებს სწრაფად და დროულად უპასუხა – 2020 წელს პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად მალევე დაიგეგმა შესაბამისი აქტივობები.

აღსანიშნავია COVID-19 პანდემიის პირობებში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის მიერ გაწეული მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონის პირველადი ჯანდაცვის სექტორში მომუშავე სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერას:

- **170** სოფლის ექიმი ჩაერთო საინფორმაციო-საგანმანათლებლო ონლაინ-შეხვედრებში: მსუბუქი და საშუალო სიმძიმის COVID-19-ის შემთხვევების ბინაზე მართვა სახელმწიფო პროტოკოლის შესაბამისად

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამბულატორიებს გადაეცათ **40** პერსონალური კომპიუტერი

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამბულატორიებს გადაეცათ პერსონალური დაცვის საშუალებები

პრევენცია სჯობს მკურნალობას, ხოლო ადრეული გამოვლენა მკვეთრად აუმჯობესებს მკურნალობის გამოსავალს

კიბოს პირველადი პრევენცია მნიშვნელოვანი მიდგომაა დაავადების ეფექტური კონტროლისათვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ყველა ძირითადი რისკის ფაქტორის კონტროლის გზით შესაძლებელია ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენცია 40%-ით (Cancer Control, Knowledge into Action, Prevention, WHO, 2007).

იზრუნე ჯანმრთელობაზე მაშინაც, როცა ჯანმრთელი ხარ

სწორედ ამიტომ, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი, პარტნიორ ორგანიზაცია თანადგომასთან თანამშრომლობით, უკვე წლებია ახორციელებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობას. აღნიშნული გულისხმობს ადგილობრივი თემის მობილიზატორების მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებს და საუბრებს ჯანსაღი ცხოვრების წესის, კიბოს პრევენციისა და ადრეული გამოვლენის მნიშვნელობის შესახებ. ამგვარ შეხვედრებს ათასობით ადამიანი დაესწრო, რომლებსაც უკვე აქვთ შესაძლებლობა, ეწვიონ ზუგდიდის სკრინინგ ცენტრს და სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო გამოკვლევები ჩაიტარონ.



პროექტის განხორციელებაში წვლილი შეიტანეს:

2019 სლოვაკეთის განვითარების სააგენტომ (Slovak Aid), რომელმაც ზუგდიდის სკრინინგ ცენტრს გადასცა უახლესი თაობის კოლპოსკოპი და ულტრაბგერითი კვლევის აპარატი.

2020 ისრაელის საელჩომ, რომელმაც ზუგდიდის სკრინინგ ცენტრს გადასცა თანამედროვე გინეკოლოგიური და ქირურგიული ინსტრუმენტები.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქ., N 8,
კორპუსი N 4, ბინა N 24

(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz

georgia.charita.cz

www.facebook.com/CCRGeorgia2015